



მაისი, 2022

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- აპრილში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 2.6% შეადგინა.
- მაისში წლიური ინფლაცია 13.3%-ს გაუტოლდა.
- მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 3.2%-ით, ხოლო ევროს მიმართ 6.1%-ით გამყარების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება


ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამომქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2022 წ.


ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო
(მლნ ლარი)




აპრილში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის აპრილში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 25.5%-ით, ხოლო ხარჯები 0.5%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო 87.7 მლნ ლარით, ხოლო ასევე უარყოფითი მთლიანი სალდო 314.7 მლნ ლარით განისაზღვრა.

შემოსავლები და ხარჯები
(მლნ ლარი)



ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები
(მლნ ლარი)




აპრილში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირებდა.

წინა წლის აპრილთან მიმართებით, 2022 წლის აპრილში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 7.5%-ით მოიმატა და 42.3 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 21.8%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 4.0%-ით შემცირდა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (52.4%) შინამეურნეობებზე მოდის.


რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 24.3% გაცემულია მრეწველობის დარგში, 19.3% ვაჭრობის, 14.8% მშენებლობის და 11.7% უძრავი ქონების ოპერაციების დარგში.

სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით
(ნაკადები), (მლნ ლარი)



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი-აპრილი




იანვარ - აპრილში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.


2022 წლის იანვარ - აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 32.8%-ით, ხოლო იმპორტი 33.7%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული, რამაც (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 5,254 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 33.4%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.2%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საქონლის ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ყაზახეთში (198.5%-ით), აშშ-ში (129.9%-ით), სომხეთში (102.3%-ით), ბულგარეთსა (50.6%-ით) და ჩინეთში (46.4%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (45.7%-ით).

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა შეიმჩნევა აზოტოვანი სასუქების (251.2%-ით), ფეროშენადნობის (75.3%-ით), სპილენძის მადნების (37.7%-ით), სამკურნალო საშუალებების (22.2%-ით), ტრიკოტაჟის ნაწარმის (20.8%-ით) ჯგუფებში.

უმსხვილესი საქონლის საექსპორტო საქონელი
(იანვარი - აპრილი)




ფულადი გზავნილები, (%)
აპრილი



აპრილში ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის აპრილში საქართველოში ფულადი გზავნილები 58.8%-ით გაიზარდა და 308.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აპრილის თვეში გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 43.2%) და ევროკავშირის ქვეყნები (27.1%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: ყაზახეთიდან (704.9%-ით), რუსეთიდან (298.8%-ით), ტაჯიკეთიდან (191.5%-ით), ყირგიზეთიდან (156.6%-ით), არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან (62.9%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (39.1%-ით), გერმანიიდან (37.5%-ით), ხოლო შემცირდა უკრაინიდან (99.5%-ით) და აზერბაიჯანიდან (45.1%-ით).

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - აპრილი




2022 წლის მაისში საერთაშორისო რეზერვებმა 3,855 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


2022 წლის მაისში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 3,855 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 7.2%-ით ნაკლებია, წინა თვესთან მიმართებით კი 0.8%-ით მეტი.

2022 წლის 24 მაისს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე ეროვნულმა ბანკმა 10 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან



2022 წლის მაისში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის მაისში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 359,238 შეადგინა, რაც 228.5%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც მაისის თვეში 319,796 იყო (ზრდა წინა წლის მაისის თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან 205.3%).


2022 წლის აპრილში* შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 188.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 138.7 მლნ აშშ დოლარით მეტია 2021 წლის აპრილის თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები


აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა კლების ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის აპრილში სარეზერვო ფულის მასა 11.4%-ით შემცირდა. ფულის M2 აგრეგატი 15.6%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 6.8%-ს გაუტოლდა. მაისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 13.3% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება




დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი)




აპრილში, წინა თვესთან შედარებით, დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა, სესხებზე კი შემცირდა.

2022 წლის აპრილში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა 0.16%-ული პუნქტით მოიმატა და 58.3%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.72%-ული პუნქტით მოიკლო და 49.7% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2022 წლის აპრილში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.02%-ით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 0.6%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე, (%)



აპრილში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.5%-ული პუნქტით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.1%-ული პუნქტით გაიზარდა.

2022 წლის აპრილში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.7% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.5%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2022 წლის აპრილის მდგომარეობით 6.2% შეადგინა, 0.5%-ული პუნქტით მეტი წინა წლის აპრილთან შედარებით.


საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად (11.0%) დატოვა.

მაისში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.

2022 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.2%-ით, ევროს მიმართ 6.1%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 9.1%-ით გამყარდა. ამავდროულად პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის მაისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 13.8%-ით, ევროს მიმართ 30.8%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 111.6%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ აპრილის თვეში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში გზავნილებმის მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც დადებითი გავლენა იქონია მაისის თვეში ლარის კურსის გამყარებაზე.


ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ბრუნვა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)




4. რეგიონული მიმოხილვა

მაისში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2022 წლის მაისში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 73.5% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთში (17.1%) და სომხეთში (9%). რაც შეეხება აზერბაიჯანს*, 2022 წლის აპრილის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 12.4%-ით გაიზარდა.



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
მაისი, 2022



მაისში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

კერძოდ, 2022 წლის მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა რუსული რუბლი (14.5%-ით), სომხური დრამი (13.9%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.3%-ით), ხოლო თურქული ლირა (46.2%-ით) გაუფასურდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

| | | მაის 21 | ივნ 21 | ივლ 21 | აგვ 21 | სექ 21 | ოქტ 21 | ნოვ 21 | დეკ 21 | იან 22 | თებ 22 | მარ 22 | აპრ 22 | მაის 22 |
|-----------------------|---|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|---------|
| რეალური სექტორი | მშპ-ს ზრდის ტემპი (%) | 25.8 | 18.7 | 9.9 | 10.3 | 6.9 | 6.9 | 12.0 | 9.6 | 18.0 | 14.6 | 10.6 | 2.6 | |
| | დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%) | 50.3 | 37.5 | 26.5 | 31.2 | 24.0 | 25.6 | 32.6 | 31.2 | 39.8 | 27.3 | 24.4 | 11.7 | |
| მონეტარული სექტორი | ინფლაცია (%) | 7.7 | 9.9 | 11.9 | 12.8 | 12.3 | 12.8 | 12.5 | 13.9 | 13.9 | 13.7 | 11.8 | 12.8 | 13.3 |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%) | 9.5 | 9.5 | 9.5 | 10.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 | 10.5 | 10.5 | 10.5 | 11.0 | 11.0 | 11.0 |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია (%) | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 | |
| | სესხების დოლარიზაცია (%) | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | |
| საგარეო სექტორი | გაცვლითი კურსი (ლარი) | 3.4 | 3.2 | 3.1 | 3.1 | 3.1 | 3.1 | 3.1 | 3.1 | 3.1 | 3.0 | 3.2 | 3.1 | 3.0 |
| | გზავნილები (ათასი აშშ დოლარი) | 187 714.4 | 201 898.4 | 208 428.2 | 204 893.0 | 209 749.8 | 206 691.2 | 207 337.5 | 229 487.0 | 168 840.5 | 183 418.8 | 193 065.3 | 308 140.1 | |
| | ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი) | 340.0 | 350.7 | 386.3 | 335.1 | 373.6 | 411.2 | 430.4 | 419.5 | 331.3 | 429.0 | 411.4 | 415.7 | |
| | იმპორტი (მლნ აშშ დოლარი) | 770.1 | 863.7 | 882.6 | 868.1 | 958.3 | 936.2 | 1 033.3 | 1 050.3 | 800.6 | 998.6 | 894.0 | 948.0 | |
| | სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი) | -430.1 | -513.1 | -496.2 | -533.0 | -584.7 | -524.9 | -603.0 | -630.8 | -469.3 | -569.6 | -482.6 | -532.3 | |
| | საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი) | 4 153.5 | 3 918.4 | 3 872.7 | 4 116.7 | 4 076.6 | 3 959.0 | 3 928.5 | 4 272.1 | 4 078.1 | 3 992.9 | 4 030.6 | 3 826.4 | 3 855.2 |
| ფინანსური სექტორი | შემოსავლები (მლნ ლარი) | 1 002.9 | 1 482.2 | 1 269.4 | 1 296.6 | 1 300.5 | 1 278.7 | 1 420.0 | 1 707.4 | 1 485.1 | 1 292.1 | 1 731.5 | 1 263.2 | |
| | მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი) | 1 148.9 | 1 272.0 | 1 391.2 | 1 113.9 | 1 208.4 | 1 303.1 | 1 256.0 | 1 934.4 | 1 185.8 | 1 226.2 | 1 413.1 | 1 350.9 | |
| | კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი) | 222.8 | 496.1 | 243.1 | 308.1 | 479.9 | 248.2 | 296.6 | 798.8 | 193.9 | 218.0 | 304.2 | 230.5 | |

ზრდა
 კლება
 ცვლილება < 1%

ცხრილი N2². ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

| | | მაისი 21 | ივნ 21 | ივლ 21 | აგვ 21 | სექ 21 | ოქტ 21 | ნოვ 21 | დეკ 21 | იანვ 22 | თებ 22 | მარ 22 | აპრ 22 | მაისი 22 |
|--------------------|--------------------------------|----------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|---------|--------|--------|--------|----------|
| რეალური სექტორი | მშპ-ს ზრდის ტემპი | | | | | | | | | | | | | |
| | დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი | | | | | | | | | | | | | |
| მონეტარული სექტორი | ინფლაცია | | | | | | | | | | | | | |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | | | | | | | | | | | | | |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია | | | | | | | | | | | | | |
| | სესხების დოლარიზაცია | | | | | | | | | | | | | |
| საგარეო სექტორი | გაცვლითი კურსი | | | | | | | | | | | | | |
| | გზავნილები | | | | | | | | | | | | | |
| | ექსპორტი | | | | | | | | | | | | | |
| | იმპორტი | | | | | | | | | | | | | |
| | სავაჭრო ბალანსი | | | | | | | | | | | | | |
| | საერთაშორისო რეზერვები | | | | | | | | | | | | | |
| ფისკალური სექტორი | შემოსავლები | | | | | | | | | | | | | |
| | მიმდინარე ხარჯები | | | | | | | | | | | | | |
| | კაპიტალური ხარჯები | | | | | | | | | | | | | |

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

| | | მაისი 21 | ივნ 21 | ივლ 21 | აგვ 21 | სექ 21 | ოქტ 21 | ნოვ 21 | დეკ 21 | იანვ 22 | თებ 22 | მარ 22 | აპრ 22 | მაისი 22 |
|--------------------|--------------------------------|----------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|---------|--------|--------|--------|----------|
| რეალური სექტორი | მშპ-ს ზრდის ტემპი | | | | | | | | | | | | | |
| | დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი | | | | | | | | | | | | | |
| მონეტარული სექტორი | ინფლაცია | | | | | | | | | | | | | |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | | | | | | | | | | | | | |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია | | | | | | | | | | | | | |
| | სესხების დოლარიზაცია | | | | | | | | | | | | | |
| საგარეო სექტორი | გაცვლითი კურსი | | | | | | | | | | | | | |
| | გზავნილები | | | | | | | | | | | | | |
| | ექსპორტი | | | | | | | | | | | | | |
| | იმპორტი | | | | | | | | | | | | | |
| | სავაჭრო ბალანსი | | | | | | | | | | | | | |
| | საერთაშორისო რეზერვები | | | | | | | | | | | | | |
| ფისკალური სექტორი | შემოსავლები | | | | | | | | | | | | | |
| | მიმდინარე ხარჯები | | | | | | | | | | | | | |
| | კაპიტალური ხარჯები | | | | | | | | | | | | | |

² ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.